განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

სსიპ - კოლეჯი „იბერია“

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

პაატა ცაგარეიშვილი - პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტი, ჯგუფის თავმჯდომარე;

დავით კუპატაძე - პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტი, ჯგუფის წევრი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(ქალაქები ქუთაისი და ბაღდათი, 2019 წელი)

I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: სსიპ-კოლეჯი „იბერია“

ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა: საჯარო სამართლის იურიდიული პირი

საიდენტიფიკაციო კოდი: 212682051

სახე:

☐ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება

☐ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება

■ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება / კოლეჯი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(ქალაქები ქუთაისი და ბაღდათი, 2019 წელი)

II. ვიზიტის საერთო მიმოხილვა

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2019 წლის 13 სექტემბრის №821 ბრძანების საფუძველზე, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფმა შემადგენლობით - პაატა ცაგარეიშვილი (ჯგუფის თავმჯდომარე, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტი) და დავით კუპატაძე (ჯგუფის წევრი, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტი), **2019 წლის 30 სექტემბერს და და 01 ოქტომბერს** განახორციელა ვიზიტი **სსიპ - კოლეჯ „იბერიაში“**. ვიზიტის მიზანს წარმოადგენდა პროფესიულ **სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გასაზრდელად**, სსიპ - კოლეჯ „იბერიის“ მიერ, საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის (პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის) საფუძველზე შექმნილი „ელექტროობის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმება.

ვიზიტის დაწყებამდე ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი მასალები და შეადგინა ვიზიტის დღის წესრიგი.

სსიპ - კოლეჯ „იბერიში“ ვიზიტი განხორციელდა 2019 წლის 30 სექტემბერს ქალაქ ქუთაისში (მის: ნიკეას ქ. №12) და 2019 წლის 01 ოქტომბერს - ქალაქ ბაღდათში (მის: რუსთაველის ქ.№80).

ვიზიტის პირველ დღეს შედგა შეხვედრა/გასაუბრება დაწესებულების ხელმძღვანელობასთან (კოლეჯის დირექტორის მოადგილესთან და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსთან). შესამოწმებელი პროგრამის საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებულ საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების მე-6, მე-7 და მე-8 მუხლებით განსაზღვრული ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის მიზნით, ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა მოცემული საგანმანათლებლო პროგრამა (ელექტროობა), ასევე პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამასთან აფილირებული შიდა მარეგულირებელი აქტები და გადაამოწმა დაწესებულების მიერ მათი შესრულების მართებულობა, რისთვისაც განხორციელდა ინტერვიუ პასუხისმგებელ პირებთან და გამოთხოვილ იქნა შესაბამისი დოკუმენტაცია. შემოწმდა რეესტრის ბაზა, ვებ-გვერდი, კატალოგის არსებობა, შეფასების სისტემა. დღის დასასრულს განხორციელდა ექსპერტთა ჯგუფის წევრებს შორის გაწეული ერთი დღის მუშაობის შედეგების შეჯამება/შეჯერება.

ვიზიტის მეორე დღეს შესწავლილ იქნა ბაღდათის ფილიალში არსებული მდგომარეობა. კერძოდ, განხორციელდა შენობის დათვალიერება და წარმოდგენილი პროფესიული საგანმანათლებლო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(ქალაქები ქუთაისი და ბაღდათი, 2019 წელი)

პროგრამის მატერიალური რესურსის შემოწმება, მასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის გადამოწმება, პროგრამის ხელმძღვანელთან და პროგრამის განმახორციელებელ პროფესიულ მასწავლებლებთან გასაუბრება, ბიბლიოთეკის ფონდისა და სასწავლო რესურსის შემოწმება, ბიბლიოთეკართან გასაუბრება, პრაქტიკის ობიექტების გადამოწმება, გასაუბრება პრაქტიკის ხელმძღვანელებთან.

ექსპერტების ვიზიტის დროს, გადამოწმდა ასევე წინა ექსპერტთა ჯგუფის მიერ დაწესებულებისთვის მიცემული რეკომენდაციების გათვალისწინების საკითხი. როგორც აღმოჩნდა, დაწესებულებამ სრულად გაითვალისწინა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში ასახული რეკომენდაციები.

ვიზიტის ბოლოს განხორციელდა ექსპერტთა ჯგუფის წევრებს შორის გაწეული მუშაობის შედეგების შეჯამება და ვიზიტის ძირითადი მიგნებების გაცნობა დაწესებულების წარმომადგენელთათვის.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

III. ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემაჯამებელი ცხრილი

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „**ელექტროობა**“.

	სტანდარტი	ავტორიზაციის დებულების შესაბამისი მუხლი / პუნქტი	სტანდარტი დაკმაყოფილებულია	სტანდარტი არაა დაკმაყოფილებული
1. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამები		**მუხლი 6**	✓	
1.1	დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებულ თითოეულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია პროგრამის მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები, მეთოდოლოგია და შესაბამისი კვალიფიკაცია. პროგრამა შედგენილია პროფესიული განათლების კრედიტების სისტემის შესაბამისად, აქვს თანმიმდევრული სტრუქტურა, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სისტემა, შესაბამისი სასწავლო კურსების პროგრამები (სილაბუსები). პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებულ თითოეულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია მისანიჭებელი კვალიფიკაცია, მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები და სწავლებისა და პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მეთოდოლოგია მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.	**მუხლი 6 / პუნქტი ა)**	✓	
1.2	დაწესებულებაში არსებობს საგანმანათლებლო პროგრამების აღწერილობა (კატალოგი), რომელშიც მოცემულია ინფორმაცია დაწესებულების, მისანიჭებელი კვალიფიკაციების, შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამების მიზნების, სწავლის შედეგების, კრედიტებისა და შეფასების წესის შესახებ.	**მუხლი 6 / პუნქტი ბ)**	✓	
1.3	პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოსა და კონკრეტულ პროფესიულ სტანდარტებს. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტს.	**მუხლი 6 / პუნქტი გ)**	✓	

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(ქალაქები ქუთაისი და ბაღდათი, 2019 წელი)

1.4	დაწესებულებას შემუშავებული აქვს პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობის, ასევე, მიღებული განათლების აღიარების წესები.	**მუხლი 6 / პუნქტი დ)**	✓	
1.5	დაწესებულებას შემუშავებული აქვს, საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში, შესაბამისი პროგრამის სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმები.	**მუხლი 6 / პუნქტი ე)**	✓	
1.6	დაწესებულებას შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების სისტემა, რომლის შედეგებსაც იყენებს სასწავლო პროცესის ხარისხის გასაუმჯობესებლად.	**მუხლი 6 / პუნქტი ვ)**	✓	
2. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მატერიალური რესურსი		**მუხლი 7**	✓	
2.1	დაწესებულების საკუთრებასა ან მფლობელობაში აქვს მატერიალური რესურსი, რომელიც გამოიყენება დაწესებულების მიზნების რეალიზაციისათვის და შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამას, მათ შორის:	**მუხლი 7 / პუნქტი ა)**	✓	
2.1.1	ერთ მისამართზე 400 კვ.მ შენობა–ნაგებობათა საერთო ფართი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის შესაბამისი საბჭო გადაწყვეტილებას იღებს 100 პროფესიულ სტუდენტზე ნაკლებ კონტინგენტიანი დაწესებულების ავტორიზაციის შესახებ;	**მუხლი 7 / პუნქტი ა.ა)**	✓	
2.1.2	სათანადო ინვენტარით აღჭურვილი სასწავლო ფართი;	**მუხლი 7 / პუნქტი ა.ბ)**	✓	
2.2	დაწესებულებაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერტილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები;	**მუხლი 7 / პუნქტი ბ)**	✓	
2.3	დაწესებულების ბიბლიოთეკის ფონდი (როგორც ბეჭდური, ისე ელექტრონულ მატარებლებზე არსებული) შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსების პროგრამებში (სილაბუსებში) მითითებულ ლიტერატურას;	**მუხლი 7 / პუნქტი გ)**	✓	
2.4	საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები გამოიყენება საგანმანათლებლო საქმიანობაში, ასევე, დაწესებულების მართვაში;	**მუხლი 7 / პუნქტი დ)**	✓	
2.5	დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა;	**მუხლი 7 / პუნქტი ე)**	✓	
2.6	დაწესებულებაში დაცულია პერსონალისა და პროფესიულ სტუდენტთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს:	**მუხლი 7 / პუნქტი ვ)**	✓	
2.6.1	ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი;	**მუხლი 7 / პუნქტი ვ.ა)**	✓	
2.6.2	თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა;	**მუხლი 7 / პუნქტი ვ.ბ)**	✓	

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(ქალაქები ქუთაისი და ბაღდათი, 2019 წელი)

2.6.3	სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები;	**მუხლი 7 / პუნქტი ვ.გ)**	✓	
2.6.4	წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები.	**მუხლი 7 / პუნქტი ვ.დ)**	✓	
2.7	დაწესებულებას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პროფესიული სტუდენტებისათვის;	**მუხლი 7 / პუნქტი ზ)**	✓	
2.8	ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას; მასზე განთავსებულია საკონტაქტო და ასევე სტანდარტებთან დაკავშირებული სხვა ინფორმაცია (დაწესებულების სტრუქტურა, საგანმანათლებლო პროგრამები, პერსონალი და სხვ.). ინფორმაციის განახლება ხდება რეგულარულად, ისე, რომ დაცული იყოს ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესი;	**მუხლი 7 / პუნქტი თ)**	✓	
2.9	შემუშავებულია დაწესებულების განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარე დაწესებულების მისიიდან, რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს.	**მუხლი 7 / პუნქტი ი)**	✓	
3. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ადამიანური რესურსი		**მუხლი 8**	✓	
3.1	დაწესებულების პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობებს;	**მუხლი 8 / პუნქტი ა)**	✓	
3.2	საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მიერ. საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში დაწესებულებას ჰყავს 20 პროფესიულ სტუდენტზე პროგრამის განმახორციელებელი მინიმუმ ერთი პირი;	**მუხლი 8 / პუნქტი ბ)**	✓	
3.3	პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი შეირჩევა კანონმდებლობის მოთხოვნებისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად. შრომითი ხელშეკრულებები/დანიშვნის აქტები/მომსახურების ხელშეკრულებები გაფორმებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.	**მუხლი 8 / პუნქტი გ)**	✓	

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(ქალაქები ქუთაისი და ბაღდათი, 2019 წელი)

IV. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

საუკეთესო გამოცდილება არ დაფიქსირდა

V. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

ხარვეზი არ დაფიქსირდა

VI. რეკომენდაციების შეჯამება

ქვესტანდარტი 1.2

რეკომენდაცია (1): სასურველია კატალოგი ვებ-გვერდზე განთავსდეს არა „მთავარი“ ღილაკის (როგორც ამჟამად არის), არამედ „**პროგრამების**“ ღილაკის მენიუში. შედეგად, ვებ-გვერდზე შესულ მომხმარებელს მნიშვნელოვნად გაუადვილდება მისი პოვნა, რადგანაც კატალოგი არის სწორედ საგანმანათლებლო **პროგრამების** აღწერილობა.

ქვესტანდარტი 1.4

რეკომენდაცია (2): მიღებული განათლების აღიარების წესები გაიწეროს კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 21 აგვისტოს №299 ბრძანებით დამტკიცებულ „სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში“ (სასწავლო პროცესის მარეგულირებელ **ახალ წესში**), ან დამტკიცდეს კოლეჯის დირექტორის ცალკე ბრძანებით. ამის მიზეზი არის ის, რომ სასწავლო პროცესის მარეგულირებელი **ძველი წესის** (რომელიც დამტკიცებულია კოლეჯის დირექტორის №106. 27.04.2018 ბრძანებით) მე-6 მუხლით გაწერილი, მიღებული განათლების აღიარების წესები, არ არის ასახული სასწავლო პროცესის მარეგულირებელ ახალ წესში (რომელიც დამტკიცებულია კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 21 აგვისტოს №299 ბრძანებით) და ამავე დროს, სასწავლო პროცესის მარეგულირებელი ძველი წესი (№106. 27.04.2018) არ არის გამოცხადებული ძალადაკარგულად.

რეკომენდაცია (3): ამ დასკვნის მე-2 რეკომენდაციის გათვალისწინებით, ძალადაკარგულად გამოცხადდეს კოლეჯის დირექტორის 2018 წლის 27 აპრილის №106 ბრძანებით დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“, ვინაიდან არსებობს კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 21 აგვისტოს №299 ბრძანებით დამტკიცებილი „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

რეკომენდაცია (4): სასურველია დაწესებულების მარეგულირებელ დოკუმენტებსა და შრომით ხელშეკრულებებში გამოყენებული ტერმინები „სტუდენტი“ და „მასწავლებელი“, შეცვალოს ტერმინებით - „პროფესიული სტუდენტი“, „პროფესიული განათლების მასწავლებელი“. შედეგად ეს ტერმინები შესაბამისობაში მოვა ახალ კანონმდებლობასთან.

რეკომენდაცია (5): სასურველია კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 21 აგვისტოს №299 ბრძანებით დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის“ მე-3 მუხლის მე-7 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „დოკუმენტების წარმოდგენის ვადის დასრულების შემდეგ 2 დღის ვადაში კოლეჯის დირექტორი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით ახდენს **აპლიკანტის**/აპლიკანტების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პირველად/შემდგომ საფეხურზე **ჩარიცხვას** და **თითოეულ** აპლიკანტთან (თუ აპლიკანტი ქმედუუნაროა/შეზღუდულ ქნედუნარიანია - მის მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან) აფორმებს ხელშეკრულებას აპლიკანტის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პირველად/შემდგომ საფეხურზე ჩარიცხვის შესახებ“. შედეგად გამოირიცხება ორაზროვანი გაგება, რომელსაც იწვევს სიტყვა - „რიცხავს“ (შესაძლოა ნიშნავდეს „ჩარიცხვასაც“ და „გარიცხვასაც“), რომელიც ნახსენებია არსებულ რედაქციაში – *„დოკუმენტების წარმოდგენის ვადის დასრულების შემდეგ 2 დღის ვადაში კოლეჯის დირექტორი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით **რიცხავს აპლიკანტებს** პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პირველად/შემდგომ საფეხურზე და აფორმებს ხელშეკრულებას აპლიკანტთან (ხოლო იმ შემთხვევაში თუ აპლიკანტი ქმედუუნაროა/შეზღუდულ ქნედუნარიანია მის მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან) აპლიკანტის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პირველად/შემდგომ საფეხურზე ჩარიცხვის შესახებ“).*

რეკომენდაცია (6): სასურველია კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 21 აგვისტოს №299 ბრძანებით დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის“ მე-3 მუხლის მე-7 პუნქტში, ასევე ყველგან, სადაც დღეებით განსაზღვრული ვადაა ნახსენები, დაკონკრეტდეს - კალენდარული დღე იგულისხმება თუ სამუშაო დღე. შედეგად გამოირიცხება ვადებთან დაკავშირებული გაუგებრობა.

რეკომენდაცია (7): გასწორდეს ტექნიკური ხარვეზი კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 21 აგვისტოს №299 ბრძანებით დამტკიცებულ „სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში“. კერძოდ,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ამ წესის მე-3 მუხლის მე-8 პუნქტში ტექსტი - „**მე-8 პუნქტით გათვალისწინებული**“ ჩასწორდეს ტექსტით - „**მე-7 პუნქტით გათვალისწინებული**“, ვინაიდან სწორედ მე-7 პუნქტშია საუბარი ხელშეკრულების გაფორმებაზე და არა მე-8 პუნქტში, რომლის არსებული რედაქციაც გამოიყურება შემდეგნაირად: *„ჩარიცხული პროფესიული სტუდენტების შესახებ მონაცემებს კოლეჯის რეესტრის მწარმოებელი ამ მუხლის **მე-8 პუნქტით გათვალისწინებული** ხელშეკრულების გაფორმებიდან 3 დღის ვადაში ასახავს პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებათა მართვის საინფორმაციო სისტემაში“.*

რეკომენდაცია (8): გასწორდეს ნუმერაცია კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 21 აგვისტოს №299 ბრძანებით დამტკიცებულ „სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში“ (მაგალითად, მე-4 მუხლში არსებობს ორი მე-10 პუნქტი, მე-8 მუხლში არსებობს ორი პირველი პუნქტი და ა.შ.).

ქვესტანდარტი 1.5

რეკომენდაცია (9): სასურველია დაწესებულებამ კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 21 აგვისტოს №299 ბრძანებით დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის“ მე-10 მუხლში (პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში პროფესიული სტუდენტის შემდგომი განათლებით უზრუნველყოფა), დაამატოს ხარისხის მართვის მენეჯერის მიერ აღწერილი პროცედურა. კერძოდ, ხარისხის მართვის მენეჯერთან გასაუბრებით დგინდება, რომ „კოლეჯის მიერ განხორციელებული მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის გაუქმების შესახებ გადაწყვეტილების მიღებამდე, როდესაც პროგრამის გაუქმების ინიციატორი თავად დაწესებულებაა, ხარისხის მართვის მენეჯერი პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების დაცვის და შემდგომი განათლების უზრუნველყოფის მიზნით, შეისწავლის გასაუქმებელი მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მონათესავე მოდულურ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამასთან გაერთიანების, ან ახალი მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით ჩანაცვლების შესაძლებლობის საკითხს და ინფორმაციას წარუდგენს კოლეჯის დირექტორს. მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის გაუქმებამდე კოლეჯი, სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებასთან გაფორმებული მემორანდუმის საფუძველზე უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მოპოვებული კრედიტების აღიარების შეთანხმებას და/ან მონათესავე პროგრამაზე გადაყვანას, ხარისხის მართვის მენეჯერის მიერ შემუშავებული დასკვნისა და კოლეჯის დირექტორის გადაწყვეტილების საფუძველზე“. შედეგად, აღნიშნული მუხლი გახდება უფრო ინფორმაციული და კონკრეტულ პროცედურებზე ორიენტირებული.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ქვესტანდარტი 1.6

რეკომენდაცია (10): გასწორდეს ნუმერაცია კოლეჯის დირექტორის 2018 წლის 27 აპრილის №103 ბრძანებით დამტკიცებულ - „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების წესში (მაგალითად, მე-2 მუხლში არსებობს ორი „გ“ ქვეპუნქტი).

რეკომენდაცია (11): დაწესებულებამ უზრუნველყოს საკუთარი რეგულაციის, კერძოდ კოლეჯის დირექტორის 2018 წლის 27 აპრილის №103 ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების წესის“ მე-4 მუხლის 4.6 ქვეპუნქტის დაცვა და საჯაროდ გამოაქვეყნოს სტუდენტთა გამოკითხვის შედეგები. ან აღნიშნული ქვეპუნქტიდან *(არსებული რედაქცია: „სტუდენტების გამოკითხვის შედეგად ხდება შედეგების რაოდენობრივი და თვისებრივი ანალიზი, **მათი საჯაროდ გამოქვეყნება**, გაუმჯობესების რეკომენდაციების შემუშავება და დაწესებულების ადმინისტრაციისათვის წარდგენა“)*, ამოიღოს სიტყვები „**მათი საჯაროდ გამოქვეყნება**“.

ქვესტანდარტი 2.3

რეკომენდაცია (12): სასურველია დაწესებულებამ უზრუნველყოს ყველა სახელმძღვანელოს აღრიცხვა/შტამპის დასმა დადგენილი წესით. სახელმძღვანელოების ნაწილი არ არის საბიბლიოთეკო წესით დამუშავებული (კერძოდ, ნაწილი არ იყო აღრიცხული ჟურნალში, ნაწილზე არ იყო შტამპი).

რეკომენდაცია (13): სასურველია ბიბლიოთეკარმა უზრუნველყოს წიგნების ანბანური კატალოგის შედგენა. დაწესებულებას არ აქვს ასეთი კატალოგი, არც ელექტრონული, არც მატერიალური ფორმით.

რეკომენდაცია (14): იმისათვის, რომ პროფესიულმა სტუდენტებმა შეუფერხებლად შეძლონ ბიბლიოთეკით სარგებლობა, სასურველია დაწესებულებას გააჩნდეს ბიბლიოთეკარის შტატი ან ბიბლიოთეკარის ფუნქცია-მოვალეობები დაკისრებული ჰქონდეს ამ მიზნით დასაქმებულ, შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე სხვა პირს, რომელიც ხელმისაწვდომს გახდის შეუფერხებელ საბიბლიოთეკო მომსახურებას. ამის მიზეზი არის ის, რომ ბაღდათის სასწავლო პროცესისა და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სასწავლო პრაქტიკის მენეჯერს, გარდა ბიბლიოთეკარის ფუნქცია-მოვალეობებისა, შეთავსებული აქვს ასევე შემდეგი მოდულების განხორციელება: ინფორმაციული წიგნიერება 1, საინჟინრო ხაზვა და კომუნიკაცია ელექტროობის სფეროში. შესაძლოა ბიბლიოთეკარის მოვალეობის შესრულების დრო დაემთხვეს ბიბლიოთეკარის სალექციო დროს, რის გამოც ბიბლიოთეკით სარგებლობის მსურველ პროფესიულ სტუდენტებს მოუწიოთ ლოდინი მისი ლექციის დასრულებამდე.

ქვესტანდარტი 3.1

რეკომენდაცია (15): სასურველია კოლეჯის დირექტორის 2016 წლის 29 ივნისის №142 ბრძანებით დამტკიცებულ - „სსიპ კოლეჯის „იბერია“ თანამდებობრივ ინსტრუქციაში“, შესაბამის მუხლებში, მოვალეობებთან ერთად აისახოს ასევე ამ მუხლში დასახელებული პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნებიც. აღნიშნული მიდგომა პერსონალის შერჩევის პროცესს გახდის უფრო ეფექტურს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

VII. დაწესებულების მისია

კოლეჯი ,,იბერია" წარმოადგენს იმერეთის რეგიონში წამყვან პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებას, რომლის მისიაა ინდივიდის პიროვნული, პროფესიული და სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობა, პროფესიული განათლების ყველასთვის თანაბარი ხელმისაწვდომობა მთელი ცხოვრების განმავლობაში, კონკურენტუნარიანი პროფესიული განათლების მქონე კადრების მომზადება: აგრარული, საინჟინრო და მომსახურების სფეროში. საქართველოს პროფესიული განათლების სისტემის ერთიან ევროპულ საგანმანათლებლო სივრცესთან დაახლოება და შეთავსებადობა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(ქალაქები ქუთაისი და ბაღდათი, 2019 წელი)

სტანდარტების შეფასება

1. საგანმანათლებლო პროგრამები

1.1 დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებულ თითოეულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია პროგრამის მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები, მეთოდოლოგია და შესაბამისი კვალიფიკაცია. პროგრამა შედგენილია პროფესიული განათლების კრედიტების სისტემის შესაბამისად, აქვს თანმიმდევრული სტრუქტურა, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სისტემა, შესაბამისი სასწავლო კურსების პროგრამები (სილაბუსები). პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებულ თითოეულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია მისანიჭებელი კვალიფიკაცია, მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები, სწავლებისა და პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მეთოდოლოგია მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:
სსიპ - კოლეჯმა „იბერიამ“ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში 2019 წლის 29 აგვისტოს წარადგინა განაცხადი ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილ „ელექტროობის“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდის შესახებ.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ გადამოწმდა დაწესებულების მიერ დამტკიცებული, ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ელექტროობაში“ განხორციელებული ცვლილებები. კერძოდ, როგორც გაირკვა:

ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე (სარეგისტრაციო ნომერი 07102-პ), თავდაპირველად პროგრამა დამტკიცდა დირექტორის 2017 წლის 28 ივლისის №249 ბრძანებით და ერქვა „დაბალი ძაბვის ელექტრიკოსი - მესამე საფეხური“; აღნიშნული პროგრმა გადამტკიცდა კოლეჯის დირექტორის **№288. 5.09.17 ბრძანებით** და შესაბამისობაში მოვიდა ახალ ჩარჩო დოკუმენტთან („ელექტროობა“, სარეგისტრაციო ნომერი 07313-პ); შემდეგი ცვლილება განხორციელდა დირექტორის **№310. 20.09.17 ბრძანებით** და დაკონკრეტდა თუ ვისთვის არის სავალდებულო მოდულის „ქართული ენა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

A2“-ის გავლა და პროგრამის მოცულობა და სავარაუდო ხანგრძლივობაც ცალკ-ცალკე გაიწერა ქართულენოვანი და არაქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისთვის; პროგრამა კვლავ გადამტკიცდა კოლეჯის დირექტორის **№410. 25.11.17 ბრძანებით** და შესაბამისობაში მოვიდა სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2017 წლის 13 ოქტომბრის №656 ბრძანებით დამტკიცებულ, შესაბამის დანართთან; ჩარჩო დოკუმენტის ცვლილებასთან დაკავშირებით პროგრამა ისევ გადამტკიცდა კოლეჯის დირექტორის **№70. 05.03.19 ბრძანებით**; კოლეჯის დირექტორის **№88. 18.03.19 ბრძანებით** დაზუსტდა, რომ ცვლილებები არ გავრცელებულიყო პირებზე, რომლებმაც 2019 წლამდე მოიპოვეს პროფესიულ სტუდენტის სტატუსი; კოლეჯის დირექტორის **№248. 10.07.19 ბრძანებით,** პროგრამის მე-2 პუნქტი (მისანიჭებელი კვალიფიკაცია), შეიცვალა დასახელებით - „მისანიჭებელი კვალიფიკაცია ქართულ და ინგლისურ ენებზე“.

შეჯამების სახით, შეიძლება ითქვას, რომ ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილ „ელექტროობის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის როგორც თავდაპირველ, ისე საბოლოო რედაქციაში, განსაზღვრულია მისანიჭებელი კვალიფიკაცია, მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები, სწავლებისა და პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მეთოდოლოგია მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

მოდულების შესწავლისას დადგინდა, რომ მათი თანმიმდევრობა ასახულია სასწავლო გეგმაში. სასწავლო გეგმაში დაცულია ასევე თითოეული მოდულის კრედიტების რაოდენობები და სწავლება ისეა დაგეგმილი, რომ პროფესიულ სტუდენტთა დატვირთვა კვირაში არ აღემატება 40 საათს. მოდულებს არ აქვთ წინაპირობები.

დაწესებულების მიერ დაცულია პროგრამის შემუშავების და დამტკიცების პროცედურა. დაწესებულებას სურს „ელექტროობის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, გარდა ქუთაისისა (ნიკეას ქ. №12) განახორციელოს ასევე მისამართზე: ქალაქი ბაღდათი, რუსთაველის ქ. №80. ამ მიზნით გააკეთა განაცხადი პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდაზე (30 პროფესიული სტუდენტი ორცვლიანი სწავლების გათვალისწინებით). პროგრამის ეფექტურად განხორციელების ხელშეწყობისთვის სსიპ - კოლეჯ იბერიას გაფორმებული აქვს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი (16.07.19) ააიპ - „ბაღდათის კეთილმოწყობის, დასუფთავებისა და მუნიციპალური სერვისების განვითარების გაერთიანებასთან“. მემორანდუმი მიზნად ისახავს პარტნიორის მხრიდან პროფესიული პროგრამის შემუშავებაში ჩართულობას. კერძოდ, პარტნიორი უზრუნველყოფს:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ა) პროფესიული საქმიანობიდან გამომდინარე „ელექტრობის“ პროგრამის პროფესიული სტუდენტების ჩართვას პრატიკულ პროცესში;

ბ) პროფესიული სტუდენტებისათვის აუცილებელი პირობების და სამუშაო გარემოს ინდივიდუალური საჭიროების შესაბამისად უზრუნველყოფას;

გ) გაცნობითი პრაქტიკის მონაწილის მიერ გაწეული სამუშაოს შესრულების კონტროლს;

დ) გაცნობითი პრაქტიკის მონაწილეების უზრუნველყოფას სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის მაქსიმალურად უსაფრთხო და სამუშაოს შესრულებისათვის საჭირო გარემოთი;

ე) პროცესის მიმდინარეობის პერიოდში ზედამხედველობის მიზნით პასუხისმგებელი პირის გამოყოფას.

მემორანდუმში მითითებულია პრაქტიკაზე მისაღებ სტუდენტთა რაოდენობა (30 პროფესიული სტუდენტი). ვიზუალური დათვალიერებით და პასუხისმგებელ პირებთან გასაუბრებით დგინდება, რომ პრაქტიკის ობიექტი უზრუნველყოფს დაწესებულების მიერ მოთხოვნილი რაოდენობის სტუდენტებისთვის პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებას. პრაქტიკის ხელმძღვანელები არიან უშუალოდ მოდულების განმახორციელებელი პირები.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. სსიპ - კოლეჯ „იბერიას“ დირექტორის 2017 წლის 28 ივლისის N249 ბრძანებით (ცვლილების ბრძანებები: №288. 5.09.17; №310. 20.09.17; №410. 29.11.17; №70. 5.03.19; №88. 18.03.9. №248. 10.07.19);
2. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით „ელექტრობა“;
3. ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით (16.07.19) ააიპ - „ბაღდათის კეთილმოწყობის, დასუფთავებისა და მუნიციპალური სერვისების განვითარების გაერთიანებასთან“.

შეფასება:

✓ **<u>ქვესტანდარტი არ არის დარღვეული</u>**

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

1.2 დაწესებულებაში არსებობს საგანმანათლებლო პროგრამების აღწერილობა (კატალოგი), რომელშიც მოცემულია ინფორმაცია დაწესებულების, მისანიჭებელი კვალიფიკაციების, შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამების მიზნების, სწავლის შედეგების, კრედიტებისა და შეფასების წესის შესახებ.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:
დაწესებულების ვებ-გვერდზე, მთავარ მენიუში, ღილაკთან „მთავარი“ - მაუსის მიტანისას გამოსულ მენიუში ვპოულობთ კატეგორიას „კატალოგი“ (საგანმანათლებლო პროგრამების აღწერილობა). კატალოგში მოცემულია ინფორმაცია დაწესებულების, მისანიჭებელი კვალიფიკაციების, შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამების მიზნების, სწავლის შედეგების, კრედიტებისა და შეფასების წესის შესახებ.

რეკომენდაცია (1): სასურველია კატალოგი ვებ-გვერდზე განთავსდეს არა „მთავარი“ ღილაკის (როგორც ამჟამად არის), არამედ „**პროგრამების**“ ღილაკის მენიუში. შედეგად, ვებ-გვერდზე შესულ მომხმარებელს მნიშვნელოვნად გაუადვილდება მისი პოვნა, რადგანაც კატალოგი არის სწორედ საგანმანათლებლო **პროგრამების** აღწერილობა.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. ვებ-გვერდით: http://www.iberias.ge/index.php?page=19&lang=geo
2. 2019 წლის კატალოგით:
   http://iberias.ge/uploads/files/4152%E1%83%99%E1%83%90%E1%83%A2%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%9D%E1%83%92%E1%83%98%202019%20(1)the%20newest.pdf

შეფასება:

✓ **ქვესტანდარტი არ არის დარღვეული**
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

1.3 პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოსა და კონკრეტულ პროფესიულ სტანდარტებს. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტს.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

წარმოდგენილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შესაბამისობაშია ჩარჩო დოკუმენტებით განსაზღვრულ სწავლის შედეგებთან. დაწესებულების მიერ დაცულია პროგრამის შემუშავების, მასში ცვლილებების შეტანის და დამტკიცების პროცედურა. წარმოდგენილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შდეგები შეესაბამება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტს (ელექტროობა - 07313-3).

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. საგანამათლებლო პროგრამის „**ელექტროობა**“ ჩარჩო დოკუმენტით.
2. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „**ელექტროობა**“ ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით.

შეფასება:

✓ **<u>ქვესტანდარტი არ არის დარღვეული</u>**

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

1.4 დაწესებულებას შემუშავებული აქვს პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობის, ასევე, მიღებული განათლების აღიარების წესები.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 21 აგვისტოს №299 ბრძანებით დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“ არეგულირებს სასწავლო პროცესთან დაკავშირებულ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

საკითხებს - პროფესიული სტუდენტის სტატუსის **მოპოვების** (მუხლი 3), **შეჩერების** (მუხლი 6), **შეწყვეტის** (მუხლი 7), **მობილობის** (მუხლი 8), პროფესიული სტანდარტის/პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში სტუდენტის შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის (მუხლი 10), სასწავლო პროცესში ინკლუზიური განათლების ინტეგრირებისა და ინკლუზიური სასწავლო გარემოს შექმნის მექანიზმებს (მუხლი 4).

რაც შეეხება **მიღებული განათლების აღიარების წესებს**, აღნიშნული წესები დამტკიცებულია კოლეჯის დირექტორის 2018 წლის 27 აპრილის №106 ბრძანებით დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის“ მე-6 მუხლით (მიღებული განათლების აღიარება).

რეკომენდაცია (2): მიღებული განათლების აღიარების წესები გაიწეროს კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 21 აგვისტოს №299 ბრძანებით დამტკიცებულ „სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში“ (სასწავლო პროცესის მარეგულირებელ **ახალ წესში**), ან დამტკიცდეს კოლეჯის დირექტორის ცალკე ბრძანებით. ამის მიზეზი არის ის, რომ სასწავლო პროცესის მარეგულირებელი **ძველი წესის** (რომელიც დამტკიცებულია კოლეჯის დირექტორის №106. 27.04.2018 ბრძანებით) მე-6 მუხლით გაწერილი, მიღებული განათლების აღიარების წესები, არ არის ასახული სასწავლო პროცესის მარეგულირებელ ახალ წესში (რომელიც დამტკიცებულია კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 21 აგვისტოს №299 ბრძანებით) და ამავე დროს, სასწავლო პროცესის მარეგულირებელი ძველი წესი (№106. 27.04.2018) არ არის გამოცხადებული ძალადაკარგულად.

რეკომენდაცია (3): ამ დასკვნის მე-2 რეკომენდაციის გათვალისწინებით, ძალადაკარგულად გამოცხადდეს კოლეჯის დირექტორის 2018 წლის 27 აპრილის №106 ბრძანებით დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“, ვინაიდან არსებობს კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 21 აგვისტოს №299 ბრძანებით დამტკიცებილი „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“.

რეკომენდაცია (4): სასურველია დაწესებულების მარეგულირებელ დოკუმენტებსა და შრომით ხელშეკრულებებში გამოყენებული ტერმინები „სტუდენტი“ და „მასწავლებელი“, შეცვალოს ტერმინებით - „პროფესიული სტუდენტი“, „პროფესიული განათლების მასწავლებელი“. შედეგად ეს ტერმინები შესაბამისობაში მოვა ახალ კანონმდებლობასთან.

რეკომენდაცია (5): სასურველია კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 21 აგვისტოს №299 ბრძანებით დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის“ მე-3 მუხლის მე-7

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „დოკუმენტების წარმოდგენის ვადის დასრულების შემდეგ 2 დღის ვადაში კოლეჯის დირექტორი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით ახდენს **აპლიკანტის**/აპლიკანტების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პირველად/შემდგომ საფეხურზე **ჩარიცხვას** და **თითოეულ** აპლიკანტთან (თუ აპლიკანტი ქმედუუნაროა/შეზღუდულ ქმედუნარიანია - მის მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან) აფორმებს ხელშეკრულებას აპლიკანტის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პირველად/შემდგომ საფეხურზე ჩარიცხვის შესახებ“. შედეგად გამოირიცხება ორაზროვანი გაგება, რომელსაც იწვევს სიტყვა - „რიცხავს“ (შესაძლოა ნიშნავდეს „ჩარიცხვასაც“ და „გარიცხვასაც“), რომელიც ნახსენებია არსებულ რედაქციაში – *„დოკუმენტების წარმოდგენის ვადის დასრულების შემდეგ 2 დღის ვადაში კოლეჯის დირექტორი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით **რიცხავს აპლიკანტებს** პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პირველად/შემდგომ საფეხურზე და აფორმებს ხელშეკრულებას აპლიკანტთან (ხოლო იმ შემთხვევაში თუ აპლიკანტი ქმედუუნაროა/შეზღუდულ ქნედუნარიანია მის მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან) აპლიკანტის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პირველად/შემდგომ საფეხურზე ჩარიცხვის შესახებ“).*

რეკომენდაცია (6): სასურველია კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 21 აგვისტოს №299 ბრძანებით დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის“ მე-3 მუხლის მე-7 პუნქტში, ასევე ყველგან, სადაც დღეებით განსაზღვრული ვადაა ნახსენები, დაკონკრეტდეს - კალენდარული დღე იგულისხმება თუ სამუშაო დღე. შედეგად გამოირიცხება ვადებთან დაკავშირებული გაუგებრობა.

რეკომენდაცია (7): გასწორდეს ტექნიკური ხარვეზი კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 21 აგვისტოს №299 ბრძანებით დამტკიცებულ „სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში“. კერძოდ, ამ წესის მე-3 მუხლის მე-8 პუნქტში ტექსტი - „**მე-8 პუნქტით გათვალისწინებული**“ ჩასწორდეს ტექსტით - „**მე-7 პუნქტით გათვალისწინებული**“, ვინაიდან სწორედ მე-7 პუნქტშია საუბარი ხელშეკრულების გაფომებაზე და არა მე-8 პუნქტში, რომლის არსებული რედაქციაც გამოიყურება შემდეგნაირად: *„ჩარიცხული პროფესიული სტუდენტების შესახებ მონაცემებს კოლეჯის რეესტრის მწარმოებელი ამ მუხლის **მე-8 პუნქტით გათვალისწინებული** ხელშეკრულების გაფორმებიდან 3 დღის ვადაში ასახავს პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებათა მართვის საინფორმაციო სისტემაში“.*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

რეკომენდაცია (8): გასწორდეს ნუმერაცია კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 21 აგვისტოს №299 ბრძანებით დამტკიცებულ „სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში“ (მაგალითად, მე-4 მუხლში არსებობს ორი მე-10 პუნქტი, მე-8 მუხლში არსებობს ორი პირველი პუნქტი და ა.შ.).

დაწესებულების მიერ საკუთარი რეგულაციების შესრულების შემოწმებით ირკვევა, რომ დაწესებულებას ამ რეგულაციების დაცვით გამოცემული აქვს შემდგი ბრძანებები: კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 31 მაისის №68კ ბრძანება „2019 წლის გაზაფხულზე პროფესიული ტესტირების საფუძველზე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების პირველად საფეხურზე აპლიკანტთა **ჩარიცხვის** შესახებ“; კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 19 სექტემბრის №105კ ბრძანება „პროფესიული სტუდენტისთვის სტატუსის **შეჩერების** შესახებ“; კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 24 სექტემბრის №109კ ბრძანება „პროფესიული სტუდენტისთვის სტატუსის **შეწყვეტის** შესახებ“; კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 14 მარტის №25კ ბრძანება „ელექტროობის სპეციალობის პროფესიული სტუდენტის **მობილობის** თაობაზე“.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 21 აგვისტოს №299 ბრძანებით დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით“;
2. კოლეჯის დირექტორის 2018 წლის 27 აპრილის №106 ბრძანებით დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით“;
3. კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 31 მაისის №68კ ბრძანება „2019 წლის გაზაფხულზე პროფესიული ტესტირების საფუძველზე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების პირველად საფეხურზე აპლიკანტთა **ჩარიცხვის** შესახებ“;
4. კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 19 სექტემბრის №105კ ბრძანება „პროფესიული სტუდენტისთვის სტატუსის **შეჩერების** შესახებ“;
5. კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 24 სექტემბრის №109კ ბრძანება „პროფესიული სტუდენტისთვის სტატუსის **შეწყვეტის** შესახებ“;
6. კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 14 მარტის №25კ ბრძანება „ელექტროობის სპეციალობის პროფესიული სტუდენტის **მობილობის** თაობაზე“.
7. სტუდენტთა პირადი საქმეებით.

შეფასება:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

✓ **<u>ქვესტანდარტი არ არის დარღვეული</u>**

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

1.5 დაწესებულებას შემუშავებული აქვს, საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში, შესაბამისი პროგრამის სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმები.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:
დაწესებულებას შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში შესაბამისი პროგრამის სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმები. კერძოდ, სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის (№299. 21.08.2019) მე-10 მუხლით განსაზღვრულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტთა შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის წესი. ასევე ხარისხის მართვის მენეჯერთან გასაუბრებით დგინდება, რომ „...კოლეჯის მიერ განხორციელებული მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის გაუქმების შესახებ გადაწყვეტილების მიღებამდე, როდესაც პროგრამის გაუქმების ინიციატორი თავად დაწესებულებაა, ხარისხის მართვის მენეჯერი პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების დაცვის და შემდგომი განათლების უზრუნველყოფის მიზნით, შეისწავლის გასაუქმებელი მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მონათესავე მოდულურ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამასთან გაერთიანების, ან ახალი მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით ჩანაცვლების შესაძლებლობის საკითხს და ინფორმაციას წარუდგენს კოლეჯის დირექტორს. მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის გაუქმებამდე კოლეჯი, სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებასთან გაფორმებული მემორანდუმის საფუძველზე უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მოპოვებული კრედიტების აღიარების შეთანხმებას და/ან მონათესავე პროგრამაზე გადაყვანას, ხარისხის მართვის მენეჯერის მიერ შემუშავებული დასკვნისა და კოლეჯის დირექტორის მიერ გადაწყვეტილების საფუძველზე. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხულ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროფესიულ სტუდენტებს ასევე ეძლევათ მიმდინარე საფეხურის დასრულების შესაძლებლობა მილევად რეჟიმში“. მსგავს გადაყვანის შემთხვევას კოლეჯში ადგილი არ ჰქონია.

დაწესებულებას შესამოწმებელი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის, გაფორმებული აქვს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი (01.08.2019) სსიპ - კოლეჯ „მერმისთან“.

რეკომენდაცია (9): სასურველია დაწესებულებამ კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 21 აგვისტოს №299 ბრძანებით დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის“ მე-10 მუხლში (პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში პროფესიული სტუდენტის შემდგომი განათლებით უზრუნველყოფა), დაამატოს ხარისხის მართვის მენეჯერის მიერ აღწერილი პროცედურა. კერძოდ, ხარისხის მართვის მენეჯერთან გასაუბრებით დგინდება, რომ „კოლეჯის მიერ განხორციელებული მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის გაუქმების შესახებ გადაწყვეტილების მიღებამდე, როდესაც პროგრამის გაუქმების ინიციატორი თავად დაწესებულებაა, ხარისხის მართვის მენეჯერი პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების დაცვის და შემდგომი განათლების უზრუნველყოფის მიზნით, შეისწავლის გასაუქმებელი მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მონათესავე მოდულურ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამასთან გაერთიანების, ან ახალი მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით ჩანაცვლების შესაძლებლობის საკითხს და ინფორმაციას წარუდგენს კოლეჯის დირექტორს. მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის გაუქმებამდე კოლეჯი, სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებასთან გაფორმებული მემორანდუმის საფუძველზე უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მოპოვებული კრედიტების აღიარების შეთანხმებას და/ან მონათესავე პროგრამაზე გადაყვანას, ხარისხის მართვის მენეჯერის მიერ შემუშავებული დასკვნისა და კოლეჯის დირექტორის გადაწყვეტილების საფუძველზე“. შედეგად, აღნიშნული მუხლი გახდება უფრო ინფორმაციული და კონკრეტულ პროცედურებზე ორიენტირებული.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 21 აგვისტოს №299 ბრძანებით დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის მე-10 მუხლით“;
2. ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი (01.08.2019) სსიპ - კოლეჯ „მერმისთან“;
3. ხარისხის მართვის მენეჯერთან გასაუბრებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შეფასება:

✓**<u>ქვესტანდარტი არ არის დარღვეული</u>**

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

1.6 დაწესებულებას შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების სისტემა, რომლის შედეგებსაც იყენებს სასწავლო პროცესის ხარისხის გასაუმჯობესებლად.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

კოლეჯის დირექტორის 2018 წლის 27 აპრილის №103 ბრძანებით დამტკიცებულია „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების წესი“. ამ წესის მე-2 მუხლის 2.1 ქვეპუნქტის მიხედვით „საგანმანათლებლო პროგრამის შიდა შეფასების მიზნით, ხარისხის მართვის მენეჯერი შეიმუშავებს:

ა) საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების ფორმას;

ბ) საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების გზამკვლევს შიდა შეფასების ექსპერტებისთვის;

გ) კალენდარული გეგმის შეფასების ფორმას;

გ) კითხვარებს სტუდენტების, პედაგოგების, კურსდამთავრებულებისა და დამსაქმებელი ორგანიზაციებისათვის.“

რეკომენდაცია (10): გასწორდეს ნუმერაცია კოლეჯის დირექტორის 2018 წლის 27 აპრილის №103 ბრძანებით დამტკიცებულ - „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების წესში (მაგალითად, მე-2 მუხლში არსებობს ორი „გ“ ქვეპუნქტი).

პროგრამების განხორციელების შეფასებისას გამოიყენება ამავე წესით დამტკიცებული შემდეგი ფორმები:

1. ადმინისტრაციის ინტერვიუს ფორმა;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2. დამსაქმებელთა გამოკითხვა;
3. კურსდამთავრებულთა გამოკითხვა;
4. მასწავლებლის ინტერვიუს ფორმა;
5. პროფესიულ სტუდენტთა გამოკითხვა;
6. საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების ფორმა;
7. სილაბუსის/კალენდარული გეგმის შეფასების ფორმა;
8. სტუდენტის ინტერვიუს ფორმა.

დაწესებულების მიერ ზემოთხსენებული ფორმების ნაწილი გამოიყენება გამოკითხვებისთვის. ძირითადად მიმდინარეობს პროფესიულ სტუდენტთა, მასწავლებელთა და კურსდამთავრებულთა გამოკითხვა, ასევე საკონტაქტო საათზე დასწრება, თუმცა შედეგების **საჯაროდ გამოქვეყნება არ ხდება,** მაშინ როდესაც ამ წესის მე-4 მუხლის 4.6 ქვეპუნქტის მიხედვით - „სტუდენტების გამოკითხვის შედეგად ხდება შედეგების რაოდენობრივი და თვისებრივი ანალიზი, მათი **საჯაროდ გამოქვეყნება**, გაუმჯობესების რეკომენდაციების შემუშავება და დაწესებულების ადმინისტრაციისათვის წარდგენა“.

რეკომენდაცია (11): დაწესებულებამ უზრუნველყოს საკუთარი რეგულაციის, კერძოდ კოლეჯის დირექტორის 2018 წლის 27 აპრილის №103 ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების წესის“ მე-4 მუხლის 4.6 ქვეპუნქტის დაცვა და საჯაროდ გამოაქვეყნოს სტუდენტთა გამოკითხვის შედეგები. ან აღნიშნული ქვეპუნქტიდან *(არსებული რედაქცია: „სტუდენტების გამოკითხვის შედეგად ხდება შედეგების რაოდენობრივი და თვისებრივი ანალიზი, **მათი საჯაროდ გამოქვეყნება**, გაუმჯობესების რეკომენდაციების შემუშავება და დაწესებულების ადმინისტრაციისათვის წარდგენა“)*, ამოიღოს სიტყვები „**მათი საჯაროდ გამოქვეყნება**“.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. კოლეჯის დირექტორის 2018 წლის 27 აპრილის №103 ბრძანებით დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების წესით;
2. ხარისხის მართვის მენეჯერის სამუშაო გეგმით;
3. ხარისხის მართვის მენეჯერის 2018 წლის ანგარიშით.

შეფასება:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

✓ **<u>ქვესტანდარტი არ არის დარღვეული</u>**

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2. მატერიალური რესურსი

2.1 დაწესებულების საკუთრებასა ან მფლობელობაში აქვს მატერიალური რესურსი, რომელიც გამოიყენება დაწესებულების მიზნების რეალიზაციისათვის და შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამას, მათ შორის:

ა) ერთ მისამართზე შენობა-ნაგებობათა საერთო ფართი;

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:
დაწესებულება განთავსებულია ქ. ქუთაისში, ნიკეას ქუჩა N12-ში მდებარე შპს „ქართულ-ევროპული სკოლის“ შენობაში (საკადასტრო კოდი N[redacted], ამონაწერი საჯარო რეესრტიდან 29.03.2016), რომელიც საიჯარო ხელშეკრულებით (17.03.2016), 2016 წლის 10 მარტიდან 2021 წლის 17 მარტამდე, დროებით სარგებლობისთვის საკუთრებაში აქვს გადაცემული სსიპ- კოლეჯ „იბერიას“.

კოლეჯი ფლობს სახელმწიფოს მიერ გადაცემულ ფართს ქ. ქუთაისში, ნიკეას N15-ში. შენობის საერთო ფართი შეადგენს 2268.73 კვ.მ-ს.

დაწესებულება ფლობს ასევე ქალაქ ბაღდათში არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთს - 35 000 კვ.მ და მასზე განთავსებულ შენობა-ნაგებობებს (საკადასტრო კოდი N[redacted] მისამართი, 23.10.2018-ით დათარიღებული ამონაწერის მიხედვით არის **ქალაქი ბაღდათი, რუსთაველის ქუჩა №80**, ხოლო 06.09.2019-ით დათარიღებული ამონაწერის მიხედვით კი - **ბაღდათის მუნიციპალიტეტი, ქალაქი ბაღდათი, შოთა რუსთაველის ქუჩა, №112**). სსიპ კოლეჯ „იბერიას“ ინფრასტრუქტურის კოორდინატორის განმარტებით, მისამართებს შორის სხვაობა განპირობებულია ბაღდათის მუნიციპალიტეტის მიერ ქუჩების თავიდან გადანომვრით. აღნიშნული უზუსტობის გასწორების შესახებ კოლეჯმა მიმართა შესაბამის სამსახურს, საიდანაც მიღებულ პასუხს, საჭიროების შემთხვევაში დაწესებულების წარმომადგენლები წარმოადგენენ საბჭოზეც. კოორდინატორმა ასევე დააზუსტა, რომ ამონაწერში აღნიშნული შენობა-ნაგებობებიდან, რეაბილიტაცია ჩაუტარდა 4 სართულიან შენობას ფართით **1736 კვ.მ** (სადაც მიმდინარეობს სასწავლო პროცესი).

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების საერთო ფართის ოდენობა მისამართების მიხედვით:

№	მისამართი	კვ.მ.
1	ქ. ქუთაისი, ნიკეას ქ. №12	3200
2	ქ. ქუთაისი, ნიკეას ქ. №15	2268.73
3	ქ. ბაღდათი, რუსთაველის ქ. №80	1736

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. საჯარო რეესტრიდან ამონაწერით 29.03.2016 (საკადასტრო კოდი N[redacted])
2. საჯარო რეესტრიდან ამონაწერით 23.10.2018 (საკადასტრო კოდი N[redacted])
3. საჯარო რეესტრიდან ამონაწერით 06.09.2019 (საკადასტრო კოდი N[redacted]
4. იჯარის ხელშეკრულებით 17.03.2016;
5. სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებით 17.02.2015 (სარეაბილიტაციო სამუშაოების განხორციელების შესახებ);
6. შენობის ვიზუალური დათვალიერებით.

შეფასება:

✓ **<u>ქვესტანდარტი არ არის დარღვეული</u>**

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

ბ) სათანადო ინვენტარით აღჭურვილი სასწავლო ფართი;

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:
დაწესებულების მიერ ბაღდათის ფილიალში „ელექტროობის“ პროგრამის განხორციელების მიზნებისთვის (მოთხოვნილი რაოდენობა **30 პროფესიული სტუდენტი ორცვლიანი სწავლების გათვალისწინებით**) გამოიყენება ქალაქ ბაღდათში, რუსთაველის ქ. №80-ში მდებარე 4 სართულიანი შენობის ფართი. აღნიშნულ ფილიალში ამჟამად ხორციელდება „სამკერვალო ნაწარმის სპეციალისტის“, „ბუღალტრული აღრიცხვის“ და „თმის სტილისტის“ მოდულური პროგრამები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულებას ისე აქვს დაგეგმილი სასწავლო პროცესი, რომ „ელექტროობის“ პროგრამის სწავლების შემთხვევაში, არცერთ პროგრამაზე არ შეფერხდეს სწავლება.

კერძოდ, „ელექტროობის“ პროგრამისთვის დაწესებულება იყენებს მე-3 სართულზე განთავსებულ 2 ოთახს. ამათგან №3:2 აუდიტორიაში განთავსებულია ელექტროობის ლაბორატორია (A-C გარემო) 15 ერთადგილიანი მერხითა და ამდენივე სკამით, მასწავლებლის მაგიდითა და სკამით, ერთი კომპიუტერით მასწავლებლისათვის, ერთი პროექტორით, დაფით, ცეცხლმაქრითა და ერთი კარადით. აქვეა განთავსებული გადაუდებელი სამედიცინო დახმარების ყუთი. ოთახი აღჭურვილია პროგრამით განსაზღვრული ინვენტარით და სადემონსტრაციო სტენდებით. №3:3 აუდიტორიაში განთავსებულია კომპიუტერული ლაბორატორია (B გარემო) 15 ერთადგილიანი მერხითა და ამდენივე სკამით, 15 კომპიუტერით, მასწავლებლის მაგიდითა და სკამით, ერთი კომპიუტერით მასწავლებლისათვის, ერთი პროექტორითა და მისი ეკრანით, დაფით. ყველა კომპიუტერში ჩატვირთულია შესაბამისი მოდულით განსაზღვრული პროგრამები.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. ინვენტარის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტებით;
2. ვიზუალური დათვალიერებით.

შეფასება:

✓ **<u>ქვესტანდარტი არ არის დარღვეული</u>**

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.2 დაწესებულებაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერტილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულებაში უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისათვის აუცილებელი გარემო. შენობები უზრუნველყოფილია და მიეწოდება უწყვეტი ელექტროენერგია; დაწესებულება გაზიფიცირებულია; შენობების მთელ სივრცეში დამონტაჟებულია ცენტრალური გათბობა. დაწესებულების მიერ წარმოდგენილია ქ. ქუთაისის და ქ. ბაღდათის მისამართებზე გადახდის ქვითრები. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებისთვის სასწავლო კაბინეტები ყველა მისამართზე უზრუნველყოფილია განათებით. შენობებში არის სველი წერტილები, სანიტარული კვანძები. სველი წერტილები აღჭურვილია ჰიგიენის საშუალებებით. სასწავლო კორპუსების სართულები ადაპტირებულია შშმ პირებისთვის.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. გადახდის ქვითრით (შპს „ახალი ქსელები"; შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია"; სს „ენერგო-პრო-ჯორჯია"; შპს „სოკარ ჯორჯია გაზი");
2. ვიზუალური დათვალიერებით

შეფასება:

✓ **<u>ქვესტანდარტი არ არის დარღვეული</u>**

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.3 დაწესებულების ბიბლიოთეკის ფონდი (როგორც ბეჭდური, ისე ელექტრონულ მატარებლებზე არსებული) შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსების პროგრამებში (სილაბუსებში) მითითებულ ლიტერატურას.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:
ბიბლიოთეკაში განთავსებულია 5 ერთ ადგილიანი მერხი, 5 სკამი, 2 პერსონალური კომპიუტერი მკითხველთათვის, 1 პერსონალური კომპიუტერი ბიბლიოთეკარისთვის, ერთი კომბაინი (ქსეროქსი/სკანერი/პრინტერი), წიგნების თაროები შესაბამისი წიგნებით. ბიბლიოთეკაში განთავსებულ ყველა კომპიუტერებში ჩაწერილია ელექტრონული სახელმძღვანელოები. ბიბლიოთეკის ფართი არის 64.4 კვ.მ.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულებას არ აქვს ბიბლიოთეკარის საშტატო ერთეული. ბიბლიოთეკარის ფუნქცია-მოვალეობები შეთავსებული აქვს ბაღდათის ფილიალის სასწავლო პროცესისა და სასწავლო პრაქტიკის მენეჯერს (კოლეჯის დირექტორის 2016 წლის 22 სექტემბრის №239 ბრძანებით). მისი, როგორც ბიბლიოთეკარის კვალიფიკაცია დასტურდება ა(ა)იპ ქუთაისის ილია ჭავჭავაძის სახელობის საჯარო ბიბლიოთეკის მიერ გაცემული ცნობით (№01-01/84. 16.10.2018). კერძოდ, აღნიშნული ცნობის მიხედვით მან 2018 წლის 16 ივლისიდან 06 აგვისტოს ჩათვლით გაიარა სწავლება/პრაქტიკა ქუთაისის ილია ჭავჭავაძის სახელობის საჯარო ბიბლიოთეკის ხარისხის მართვის განყოფილებაში შემდეგ საბიბლიოთეკო საკითხებზე:

1. ბიბლიოთეკის სააღრიცხვო დოკუმენტების სახეები და მათი წარმოება;
2. წიგნების თაროზე განლაგების მეთოდიკა;
3. ათწილადი კლასიფიკაციის ცხრილი და მისი ძირითადი დანაყოფები;
4. კატალოგის ფუნქცია, **ანბანური კატალოგის შედგენის წესი** და წიგნის აღწერილობის ელემენტები;
5. საბიბლიოთეკო დოკუმენტებზე აქტების შედგენის წესები;
6. ზემოაღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებულ პრაქტიკული უნარჩვევების გამომუშავება.

რეკომენდაცია (12): სასურველია დაწესებულებამ უზრუნველყოს ყველა სახელმძღვანელოს აღრიცხვა/შტამპის დასმა დადგენილი წესით. სახელმძღვანელოების ნაწილი არ არის საბიბლიოთეკო წესით დამუშავებული (კერძოდ, ნაწილი არ იყო აღრიცხული ჟურნალში, ნაწილზე არ იყო შტამპი).

რეკომენდაცია (13): სასურველია ბიბლიოთეკარმა უზრუნველყოს წიგნების ანბანური კატალოგის შედგენა. დაწესებულებას არ აქვს ასეთი კატალოგი, არც ელექტრონული, არც მატერიალური ფორმით.

რეკომენდაცია (14): იმისათვის, რომ პროფესიულმა სტუდენტებმა შეუფერხებლად შეძლონ ბიბლიოთეკით სარგებლობა, სასურველია დაწესებულებას გააჩნდეს ბიბლიოთეკარის შტატი ან ბიბლიოთეკარის ფუნქცია-მოვალეობები დაკისრებული ჰქონდეს ამ მიზნით დასაქმებულ, შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე სხვა პირს, რომელიც ხელმისაწავდომს გახდის შეუფერხებელ საბიბლიოთეკო მომსახურებას. ამის მიზეზი არის ის, რომ ბაღდათის სასწავლო პროცესისა და სასწავლო პრაქტიკის მენეჯერს, გარდა ბიბლიოთეკარის ფუნქცია-მოვალეობებისა, შეთავსებული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

აქვს ასევე შემდეგი მოდულების განხორციელება: ინფორმაციული წიგნიერება 1, საინჟინრო ხაზვა და კომუნიკაცია ელექტროობის სფეროში. შესაძლოა ბიბლიოთეკარის მოვალეობის შესრულების დრო დაემთხვეს ბიბლიოთეკარის სალექციო დროს, რის გამოც ბიბლიოთეკით სარგებლობის მსურველ პროფესიულ სტუდენტებს მოუწიოთ ლოდინი მისი ლექციის დასრულებამდე.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. ვიზუალური დათვალიერებით;
2. კოლეჯის დირექტორის 2016 წლის 22 სექტემბრის №239 ბრძანება - „ბაღდათში ბიბლიოთეკარის უფლება-მოვალეობაზე პასუხისმგებელი პირის შესახებ“;
3. კოლეჯის დირექტორის 2016 წლის 15 სექტემბრის №229 ბრძანება - „სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯის „იბერია“ კოორდინატორის გადაყვანის შესახებ“;
4. ა(ა)იპ ქუთაისის ილია ჭავჭავაძის სახელობის საჯარო ბიბლიოთეკის მიერ გაცემული ცნობით (№01-01/84. 16.10.2018);
5. წინარე შრომითი ხელშეკრულებით შ/158, 12.09.2019.

შეფასება:

✓ **<u>ქვესტანდარტი არ არის დარღვეული</u>**

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.4 საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები გამოიყენება საგანმანათლებლო საქმიანობაში, ასევე, დაწესებულების მართვაში.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

დაწესებულება იყენებს საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს, აქვს მუდმივი ინტერნეტი, შიდა ქსელი და უკაბელო შიდა ქსელი (WiFi). ადმინისტრაციისთვის გამოყოფილი ოთახები აღჭურვილია სათანადო ტექნიკით (კომპიუტერებით, პრინტერებით). კოლეჯს აქვს ვებ-გვერდი http://www.iberias.ge

საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები თანაბრად ხელმისაწვდომია როგორც პროფესიული სტუდენტებისთვის, ასევე პროფესიული განათლების მასწავლებლებისა და ადმინისტრაციული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პერსონალისთვის. ისინი გამოიყენება როგორც საგანმანათლებლო საქმიანობაში, ასევე დაწესებულების მართვაში. აუდიტორიები დანიშნულებისამებრ აღჭურვილია შესაბამისი ტექნიკითა და სადემონსტრაციო საშუალებებით. კომპიუტერები ჩართულია ინტერნეტში. დაწესებულების მისამართზე (ბაღდათი, რუსთაველის 80) ფუნქციონირებს კომპიუტერული კაბინეტები. ტექნიკა შემდეგნაირად არის გადანაწილებული: სასწავლო პროცესისა და სასწავლო პრაქტიკის მენეჯერი - 1 ლეპ-ტოპი; პროფესიული მასწავლებლებისთვის - 3 ლეპ-ტოპი და 2 კომპიუტერი; ბიბლიოთეკარისთვის 1 კომპიუტერი; სტუდენტებისთვის 21 პერსონალური კომპიუტერი და 2 ლეპ-ტოპი, ასევე პროექტორი - 4 ერთეული; პრინტერი 2 ერთეული.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. ინვენტარიზაციის აქტით;
2. ვიზუალური დათვალიერებით;
3. ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ №18 (1.02.2019);
4. გადახდის ქვითრებით (შპს ახალი ქსელები; შპს სქაიტელი).

შეფასება:

✓ **<u>ქვესტანდარტი არ არის დარღვეული</u>**

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.5 დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

დაწესებულებაში გაცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა მიმდინარეობს კოლეჯის დირექტორის 2015 წლის 25 სექტემბრის №343 ბრძანებით დამტკიცებული „საქმისწარმოების წესის“ შესაბამისად. ბრძანებების აღრიცხვა ხდება დადგენილი წესების შესაბამისად მოწესრიგებულ სარეგისტრაციო ჟურნალში, რომელიც ექსპერტებს წარედგინათ დანომრილი, ბეჭედდასმული და აკინძული (ზონარგაყრილ მდგომარეობაში). კოლეჯი იყენებს ელექტრონული დოკუმენტბრუნვის წარმოების სისტემა e-flow-ს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულება იყენებს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების საინფორმაციო მართვის სისტემას www.evet.emis.ge (პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების რეესტრი) და ხელმძღვანელობს რეესტრის წარმოების საერთო წესით. რეესტრში სრულყოფილადაა ასახული ინფორმაცია სტუდენტებისა და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი პირების შესახებ. რეესტრის მონაცემებით ირკვევა, რომ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ირიცხება აქტიური სტატუსის მქონე 345 პროფესიული სტუდენტი, აქედან 12 პროფესიული სტუდენტი ირიცხება ელექტროობის პროგრამაზე ქ. ქუთაისში. რეესტრის გადამოწმებით ირკვევა, რომ პროფესიული სტუდენტების შესახებ დროულად ხორციელდება სტატუსის ცვლილების შესახებ ინფორმაციის ასახვა.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. ვიზუალური დათვალიერებით;
2. ტექნიკის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტებით;
3. საგანმანათლებლო დაწესებულებების საინფორმაციო მართვის სისტემის (www.evet.emis.ge) შემოწმებით.

შეფასება:

✓ **<u>ქვესტანდარტი არ არის დარღვეული</u>**

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.6 დაწესებულებაში დაცულია პერსონალის, პროფესიულ სტუდენტთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს:

ა) ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი;

ბ) თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა;

გ) სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები;

დ) წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ა) დაწესებულებაში განთავსებულია ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი - დამუხტული ცეცხლმაქრები. შენობაში დამონტაჟებულია სახანძრო სიგნალიზაცია. კოლეჯის დირექტორის 2016 წლის 29 ივნისის №145 ბრძანებით დამტკიცებულია „სსიპ - საზოგადოებრივი კოლეჯი „იბერიას“ ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები“';

ბ) შენობის თითოეულ სართულზე თვალსაჩინო ადგილზე გამოკრულია შესაბამისი სამსახურის მიერ დამტკიცებული ევაკუაციის გეგმა. შენობას აქვს საევაკუაციო გასასვლელი;

გ) კოლეჯის დირექტორის მიერ დამტკიცებული მარეგულირებელი წესით ირკვევა, რომ სამედიცინო დამხარებას უზრუნველყოფს მედდა, რომელიც ზრუნავს თითოეული პროფესიული სტუდენტის/მსმენელის ჯანმრთელობაზე და ნებისმიერი გაუთვალისწინებელი შემთხვევის დროს მზად არის, პირველადი დახმარება აღმოუჩინოს დაზარალებულს. დაწესებულების ბაღდათის მისამართზე არის სამედიცინო კაბინეტი, რომელსაც ხელმძღვანელობს მედდა. მედდის კვალიფიკაცია დასტურდება პირად საქმეებში წარმოდგენილი დიპლომებით;

დ) წესრიგის დაცვისთვის დაწესებულებას ჰყავს შრომის დაცვისა და ტექნიკური უსაფრთხოების მენეჯერი და 4 დარაჯი, რომლის მოვალეობაში შედის: შენობა-ნაგებობების და გარე პერიმეტრის ფიზიკური დაცვა 24 სთ-ის განმავლობაში; დარაჯი უზრუნველყოფს კოლეჯის პროფესიულ სტუდენტთა და პერსონალთა უსაფრთხო სასწავლო და სამუშაო გარემოს შექმნას. კოლეჯის ფართებზე ფუნქციონირებს ვიდეო-სათვალთვალო სისტემა. კოლეჯის დირექტორის 2016 წლის 29 ივნისის №136 ბრძანებით დამტკიცებულია „სსიპ- საზოგადოებრივი კოლეჯი „იბერია“ წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის წესი“.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. ხანძარსაწინააღმდეგო და საევაკუაციო გეგმით;
2. დარაჯთან და მედდასთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებებით;
3. მედდის კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტით;
4. კოლეჯის დირექტორის 2016 წლის 29 ივნისის №142 ბრძანებით - „სსიპ კოლეჯის „იბერია“ თანამდებობრივი ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ“;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

5. კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 21 აგვისტოს №299 ბრძანებით დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით“;
6. კოლეჯის დირექტორის 2016 წლის 29 ივნისის №145 ბრძანებით დამტკიცებული „სსიპ - საზოგადოებრივი კოლეჯი „იბერიას“ ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმებით“;
7. კოლეჯის დირექტორის 2016 წლის 29 ივნისის №136 ბრძანებით დამტკიცებული „სსიპ- საზოგადოებრივი კოლეჯი „იბერია“ წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის წესით“;
8. პასუხისმგებელ პირებთან გასაუბრებით;
9. ვიზუალური დათვალიერებით.

შეფასება:

✓ **<u>ქვესტანდარტი არ არის დარღვეული</u>**

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.7 დაწესებულებას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პროფესიული სტუდენტებისათვის.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:
დაწესებულებას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პროფესიული სტუდენტებისათვის. კერძოდ, შესასვლელში მოწყობილია ბეტონის პანდუსი. სართულებს შორის გადაადგილება ხდება ადაპტირებული ლიფტის საშუალებით. საპირფარეშოები ადაპტირებულია ოთხივე სართულზე. ასეთი საჭიროების მქონე პირთათვის ხელმისაწვდომია ყველა საჭირო აუდიტორია.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. ვიზუალური დათვალიერებით.

შეფასება:

✓ **<u>ქვესტანდარტი არ არის დარღვეული</u>**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.8 ვებ-გვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას. მასზე განთავსებულია საკონტაქტო და ასევე სტანდარტებთან დაკავშირებული სხვა ინფორმაცია (დაწესებულების სტრუქტურა, საგანმანათლებლო პროგრამები, პერსონალი და სხვ.). ინფორმაციის განახლება ხდება რეგულარულად, ისე, რომ დაცული იყოს ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესი.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

დაწესებულების მფლობელობაშია დომენი iberias.ge. www.registration.ge-ზე (ახლანდელი დასახელება - www.nic.ge, https://nic.ge/ka/search?domain=iberias.ge) დომენის გადამოწმებით ირკვევა, რომ დომენის მოქმედების ვადა 2020 წლის 26 აპრილამდეა. შესაბამისად, კოლეჯს აქვს ვებ-გვერდი http://www.iberias.ge, რომელიც ასრულებს საინფორმაციო და საკომუნიკაციო ფუნქციას. მასზე განთავსებულია საკონტაქტო და სტანდარტთან დაკავშირებული ინფორმაცია (დაწესებულების სტრუქტურა, პერსონალი, საგანმანათლებლო პროგრამების აღწერილობა, სამართლებრივი დოკუმენტები, სასწავლო პროცესთან დაკავშირებული რეგულაციები, სტრატეგიული განვითარების დოკუმენტი და სამოქმედო გეგმა). ვებ-გვერდი იძლევა წერილის მიწერის და გამოკითხვის ჩატარების შესაძლებლობას. ვებ-გვერდზე ასევე განთავსებულია სიახლეები. ვებ-გვერდზე წარმოდგენილი ინფორმაცია რეგულარულად განახლებადია და დაცულია ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესი. ბოლო სიახლე განთავსებულია მიმდინარე წლის 24 სექტემბერს.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. ვებ-გვერდით www.iberias.ge;
2. ვებ-გვერდით www.registration.ge (ახლანდელი დასახელება - www.nic.ge, https://nic.ge/ka/search?domain=iberias.ge);
3. დომენის ფლობის ხელშეკრულებით (ხელშეკრულება №67, 22.04.2019)
4. ჰოსტინგის ფლობის ხელშეკრულებით (ხელშეკრულება №73, 30.04.2019)
5. ინტერნეტ მომსახურების შესყიდვის ხელშეკრულება (ხელშეკრულება №18. 01.02.2019)
6. გადახდის ქვითრებით.

შეფასება:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

✓ **<u>ქვესტანდარტი არ არის დარღვეული</u>**

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.9. შემუშავებულია დაწესებულების განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარე დაწესებულების მისიიდან, რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

დაწესებულებას სამეთვალყურეო საბჭოს მიერ 2019 წლის 1 თებერვლის №1 ოქმის საფუძველზე შემუშავებული აქვს 2019-2024 წწ სტრატეგიული განვითარების გეგმა და დაწესებულების 2019-2020 წწ სამოქმედო გეგმა.

დაწესებულების მიერ შემუშავებული სტრატეგიული განვითარების დოკუმენტი ეყრდნობა SWOT ანალიზს და მისგან გამომდინარეობს კოლეჯის პრიორიტეტული 4 სტრატეგიული მიზანი. სტრატეგიულ გეგმაში გაწერილია ამოცანები, განსახორციელებელი აქტივობები, შესრულების პერიოდი/წლები, შესრულების ინდიკატორები, პასუხისმგებელი პირები და რისკები.

გეგმები ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. სსიპ საზოგადოებრივ კოლეჯი „იბერია“ სტრატეგიული განვითარების გეგმა 2019-2024წწ.
2. სსიპ საზოგადოებრივ კოლეჯის „იბერია“ ერთწლიანი განვითარების სამოქმედო გეგმით 2019-2020.

შეფასება:

✓**<u>ქვესტანდარტი არ არის დარღვეული</u>**

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3. ადამიანური რესურსი

3.1 დაწესებულების პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობებს.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:
ექსპერტთა ჯგუფის მიერ შესწავლილ იქნა ბაღდათის ფილიალში დასაქმებული პერსონალის პირადი საქმეები, საიდანაც ირკვევა, რომ ბაღდათის ფილიალის ადმინისტრაციაში დასაქმებულია სამი ადამიანი - ბაღდათის ფილიალში სასწავლო პროცესისა და სასწავლო პრაქტიკის მენეჯერი (რომელსაც შეთავსებული აქვს ბიბლიოთეკარის ფუნქცია-მოვალეობა), მედდა და დარაჯი. ექსპერტები დავინტერესდით სასწავლო პროცესის მიმდინარეობას ხომ არ შეაფერხებდა ის გარემოება, რომ ბაღდათის ფილიალის სასწავლო პროცესის მენეჯერი იმავდროულად პრაქტიკის მენეჯერიც არის. ანუ, შეფერხდება თუ არა სასწავლო პროცესი, როდესაც სასწავლო პროცესის მენეჯერი გასულია პრაქტიკის ობიექტზე. ხარისხის მართვის მენეჯერის განმარტებით - ბაღდათის ფილიალის სასწავლო პროცესისა და სასწავლო პრაქტიკის მენეჯერს არ უწევს პრაქტიკის ობიექტზე გასვლა - რაც გამორიცხავს სასწავლო პროცესის შეფერხებას.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ შესწავლილ იქნა ასევე დაწესებულების პერსონალის უფლება-მოვალეობების მარეგულირებელი აქტები. კერძოდ, კოლეჯის დირექტორის 2016 წლის 29 ივნისის №142 ბრძანებით შემუშავებულია - „სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯის „იბერია“ თანამდებობრივი ინსტრუქცია“, რომლითაც განსაზღვრულია ადმინისტრაციის და დამხმარე პერსონალის მოვალეობები (მუხლი 3. დირექტორი; მუხლი 4. დირექტორის მოადგილე; მუხლი 5. ფინანსური მენეჯერი; მუხლი 6. ხარისხის მართვის მენეჯერი; მუხლი 7. მთავარი ბუღალტერი; <u>მუხლი 8. სასწავლო პროცესისა და სასწავლო პრაქტიკის მენეჯერი</u>; მუხლი 9. პროფორიენტაციის და კარიერის დაგეგმვის მენეჯერი; მუხლი 10. საწარმოო პრაქტიკის მენეჯერი; მუხლი 11. შესყიდვების მენეჯერი; მუხლი 12. მატერიალური რესურსების კოორდინატორი; მუხლი 13. რეესტრის წარმოების სპეციალისტი; მუხლი 14. საქმის მწარმოებელი; მუხლი 15. იურისტი; მუხლი 16. ლოჯისტიკი; მუხლი 17. საინფორმაციო ცენტრის ადმინისტრატორი; მუხლი 18. საინფორმაციო ცენტრის ოპერატორი; მუხლი 19. საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი; მუხლი 20. ქსელის ადმინისტრატორი; მუხლი 21. ინკლუზიური სწავლების სპეციალისტი; მუხლი 22. ინკლუზიური სწავლების ასისტენტი; მუხლი 23. კოორდინატორი; <u>მუხლი 24. ბიბლიოთეკარ-არქივარიუსი;</u> მუხლი 26. სტუდენტთა პანსიონის ადმინისტრატორი; <u>მუხლი 27.</u>

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

<u>მძღოლი</u>; <u>მუხლი 28. მედდა</u>; მუხლი 29. სტუდენტთა პანსიონის მორიგე; მუხლი 30. სპორტული სექციის ინსტრუქტორი; მუხლი 31. დამხმარე თანამშრომელი; მუხლი 32. დამლაგებელი; <u>მუხლი 33. დარაჯი</u>; მუხლი 34. მეეზოვე; მუხლი 35. სპორტული სექციის ინსტრუქტორი).

ადმინისტრაციის და დამხმარე პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნები განსაზღვრულია, კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 21 აგვისტოს №299 ბრძანებით დამტკიცებული „შინაგანაწესით". კერძოდ, შინაგანაწესის მე-6 მუხლი ადგენს, რომ „კოლეჯში სამუშაოდ მიიღება 18 წლის ასაკს მიღწეული პირი, რომელიც ფლობს საქართველოს სახელმწიფო ენას და აქვს სათანადო ცოდნა და უნარები" ხოლო, „სამსახურში მიღებასთან დაკავშირებულ დამატებით მოთხოვნებს, საჭიროების შემთხვევაში, განსაზღვრავს კოლეჯის დირექტორი".

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ დაწესებულების პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობებს.

რეკომენდაცია (15): სასურველია კოლეჯის დირექტორის 2016 წლის 29 ივნისის №142 ბრძანებით დამტკიცებულ - „სსიპ კოლეჯის „იბერია" თანამდებობრივი ინსტრუქციაში", შესაბამის მუხლებში, მოვალეობებთან ერთად აისახოს ასევე ამ მუხლში დასახელებული პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნებიც. აღნიშნული მიდგომა პერსონალის შერჩევის პროცესს გახდის უფრო ეფექტურს.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. კოლეჯის დირექტორის 2016 წლის 29 ივნისის N142 ბრძანებით - „სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯის „იბერია" თანამდებობრივი ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ";
2. კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 21 აგვისტოს №299 ბრძანებით დამტკიცებული „შინაგანაწესით";
3. პერსონალთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებებით;
4. პერსონალის პირადი საქმეებით.

შეფასება:

✓ <u>**ქვესტანდარტი არ არის დარღვეული**</u>

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

3.2 საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მიერ. საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში დაწესებულებას ჰყავს 20 პროფესიულ სტუდენტზე პროგრამის განმახორციელებელი მინიმუმ ერთი პირი.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ექსპერტთა ჯგუფის მიერ შესწავლილ იქნა საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელ პერსონალთან გაფორმებული წინარე შრომითი ხელშეკრულებები და მათი პირადი საქმეები, საიდანაც ირკვევა, რომ ბაღდათის ფილიალში „ელექტროობის“ საგანმანათლებლო პროგრამა უნდა განხორციელდეს 7 პროფესიული მასწავლებლის მიერ (მოთხოვნილი რაოდენობა 30 პროფესიული სტუდენტი ორცვლიანი სწავლების გათვალისწინებით).

ექსპერტთა ჯგუფის მიერ შესწავლილ იქნა ასევე საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის უფლება-მოვალეობების მარეგულირებელი აქტები. კერძოდ, კოლეჯის დირექტორის 2016 წლის 29 ივნისის №142 ბრძანებით შემუშავებულია - „სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯის „იბერია“ თანამდებობრივი ინსტრუქცია“, რომლის 25-ე მუხლით განსაზღვრულია მასწავლებლის ფუნქცია მოვალეობები, ხოლო პროფესიული განათლების მასწავლებლების საკვალიფიკაციო მოთხოვნები განსაზღვრულია კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 21 აგვისტოს №299 ბრძანებით დამტკიცებული „შინაგანაწესის“ მე-8 მუხლით.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ, „ელექტროობის“ საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მიერ. კერძოდ, საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში, ბაღდათის ფილიალში **ორცვლიანი სწავლების გათვალისწინებით**, დაწესებულებას ეყოლება 30 პროფესიულ სტუდენტზე პროგრამის განმახორციელებელი 7 პროფესიული მასწავლებელი.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

1. კოლეჯის დირექტორის 2016 წლის 29 ივნისის N142 ბრძანებით - „სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯის „იბერია“ თანამდებობრივი ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ“;
2. კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 21 აგვისტოს №299 ბრძანებით დამტკიცებული „შინაგანაწესით“;
3. საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელ პირებთან გაფორმებული წინარე შრომითი ხელშეკრულებებით;
4. საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი პირების პირადი საქმეებით.

შეფასება:

✓ **<u>ქვესტანდარტი არ არის დარღვეული</u>**

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

3.3 პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის შერჩევა ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნებისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად. შრომითი ხელშეკრულებები/დანიშვნის აქტები/მომსახურების ხელშეკრულებები გაფორმებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

დაწესებულებაში პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის შერჩევის არსებული პრაქტიკის კანონმდებლობის მოთხოვნებთან და დაწესებულების მიერ დადგენილ პირობებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ შესწავლილ იქნა დაწესებულების მიერ დამტკიცებული შესაბამისი ნორმატიული აქტები. გაირკვა, რომ პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის შერჩევის წესი განსაზღვრულია დაწესებულების შინაგანაწესის (№299. 21.08.2019) მე-8 - მე-11 მუხლებით. კერძოდ, შინაგანაწესის მე-9 მუხლი ეხება წინასახელშეკრულბო ურთიერთობას, რომლის მიხედვითაც კანდიდატი ვალდებულია კოლეჯ „იბერიას“ წარუდგინოს შემდეგი დოკუმენტები:

ა) წერილობითი განცხადება;
ბ) პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;
გ) პირადი რეზიუმე (CV) ან ავტობიოგრაფია;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დ) განათლების ან შესაბამისი კვალიფიკაციის დამადასტურებლი დოკუმენტის ასლი;
ე) ორი ფოტოსურათი;
ვ) ცნობა ნასამართლეობის შესახებ (საჭიროებისამებრ).

ექსპერტთა ჯგუფის მიერ შესწავლილ იქნა პერსონალთან გაფორმებული წინარე შრომითი ხელშეკრულებები და მათი პირადი საქმეები, რომლებიც შესაბამისობაშია შინაგანაწესით დადგენილ პირობებთან. ასევე, წინარე შრომით ხელშეკრულებებში (პუნქტი 2.1) მითითებულია, რომ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ავტორიზაციის გავლის შემდეგ, პროგრამის ამოქმედებისთანავე, დასაქმებულთან გაფორმდება შრომითი ხელშეკრულება, მასწავლებლის პოზიციაზე, შესაბამისი ანაზღაურებით.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, შეიძლება ითქვას, რომ პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის შერჩევა ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნებისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად. შრომითი ხელშეკრულებები/დანიშვნის აქტები/მომსახურების ხელშეკრულებები გაფორმებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 21 აგვისტოს №299 ბრძანებით დამტკიცებული „შინაგანაწესით“;
2. საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელ პირებთან გაფორმებული წინარე შრომითი ხელშეკრულებებით;
3. საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი პირების პირადი საქმეებით.

შეფასება:

✓ **<u>ქვესტანდარტი არ არის დარღვეული</u>**
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

VIII. პროგრამების შესახებ დაზუსტებული ინფორმაცია

№	პროგრამის დასახელება	როფესიული განათლების საფეხური / დონე	მისანიჭებელი კვალიფიკაცია (სპეციალიზაციის / წავლის დეტალური სფეროს კოდის მითითებით)	კრედიტების რაოდენობა მოდულური პროგრამის ქართულენოვანი სტუდენტებისათვის	კრედიტების რაოდენობა მოდულური პროგრამის რაქართულენოვანი სტუდენტებისათვის	სწავლების ენა	პროგრამის განხორციელების მისამართი /მისამართები	სტუდენტთა ფაქტობრივი რაოდენობა მისამართების მიხედვით)	ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, მისამართების მიხედვით
1	ელექტრო ობა	მესამე დონე	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია ელექტრობაში / Basic Vocational Qualification in Electricity 0713	52	67	ქართული	ქალაქი ბაღდათი, რუსთაველის ქ. N80	0 ქალაქი ბაღდათი, რუსთაველის ქ. N80	30 ქალაქი ბაღდათი, რუსთაველის ქ. N80

IX. თანდართული დოკუმენტაცია

დანართი 1. ვიზიტის დღის წესრიგი

დანართი 2. ვიზიტის ფოტო-მასალა

07.10.2019

თარიღი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: